

აქსელ ოლრიკი

ხალხური სიძევეების
ეპიკური კანონები

ხალხური სიტყვიერების
ეპიკური კანონები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ფოლკლორისტიკის კათედრა

აქსელ ოლრიკი

ხალხური სიტყვიერების ეპიკური კანონები

გერმანულიდან თარგმნა,
წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო

ელენე გოგიაშვილმა



უნივერსიტეტის
ბაიბლიოთეკა

Axel Olrik. Epische Gesetze der Volksdichtung. Zeitschrift für deutsches Altertum und deutsche Literatur. Bd. 51, Heft 1, 1909.

Übersetzung aus dem Deutschen, Vorwort und Anmerkungen von Elene Gogiaschwili

Alle Rechte vorbehalten

ყველა უფლება დაცულია

დანიელი ფოლკლორისტი, აქსელ ოლრიკის ეპიკური კანონების კონცეფცია ერთ-ერთი ძლიერი თეორიული საფუძველია ფოლკლორული ტექსტების სტრუქტურული თვალსაზრისით შესასწავლად. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში მომუშავე მკვლევართა და ფოლკლორისტიკის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი

ფილ. დოქტ. მარიკა ერქომაიშვილი

რეცენზენტი

თსუ ასოც. პროფ. ქეთევან სიხარულიძე

გამოცემულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023

ISBN 978-9941-36-126-5



„რაც უნდა უცნობი ხალხის ფოლკლორულ ნიმუშს ვკითხულობდეთ, უთუოდ რაღაც ნაცნობს აღმოვაჩენთ, თუნდაც ის ხალხი და მისი თქმულებათა სამყარო ჩვენი მშობლიურისაგან სრულიად განსხვავებული იყოს.“

აქსელ ოლრიკი

დანიელი ფილოლოგი და ფოლკლორისტი აქსელ ოლ-რიკი (1864-1917) მრავალრიცხოვანი შრომების ავტორია ლიტერატურის, მითოლოგიისა და ზეპირსიტყვიერების შესახებ. მისი მოღვაწეობა დაემთხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების აყვავების ხანას – XIX-XX საუკუნეების მიჯნას, როცა სიძველეთა შემსწავლელი დისციპლინები მეცნიერების პრიორიტეტულ დარგებად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ აქსელ ოლრიკის გარდაცვალებიდან საუკუნე გავიდა, მის ისტორიულ-ფილოლოგიურ და ფოლკლორისტულ ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

წინასიტყვაობა

აქსელ ოლრიკი

აქსელ ოლრიკის სახელი გამორჩეულია არა მხოლოდ სკანდინავიურ ფილოლოგიაში, არამედ მთელ ევროპულ მეცნიერებაში. ის იყო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ჩრდილოური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი და საყვარელი პიროვნება დანიაში. ოლრიკის ენთუზიაზმსა და ძლიერ პიროვნულ თვისებებს აღტაცებაში მოჰყავდა თანამედროვენი. „მომიჯნავე დარგებში მომუშავე მკვლევარები მისგან იღებდნენ შთაგონებას ხალხური ტრადიციების შესასწავლად“, – წერდა მისი ამერიკელი კოლეგა ლი ჰოლენდერი, აქსელ ოლრიკის წიგნის ინგლისურად მთარგმნელი.

აქსელ ოლრიკი თავისივე მშობლიური ქალაქის, კოპენჰაგენის, უნივერსიტეტში სწავლობდა და მუშაობდა. მან 1887 წელს მოიპოვა სკანდინავიური ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხი. ოლრიკის მასწავლებელი იყო ლიტერატურის ისტორიკოსი და ფოლკლორისტი სვენდ გრუნდტივიგი (1824-1883), რომლის მოღვაწეობასაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს დანიისათვის, როგორიც ძმები გრიმებისას გერმანიისთვის. 1853 წელს სვენდ გრუნდტივიგის მიერ დაწყებული საქმე – ძველი დანიური სიმღერების მრავალტომეულის

გამოცემა – რომელიც მთელ ჩრდილოურ რეპერტუარს მოიცავს და ეპოსისა და ბალადის ჟანრთა შესწავლის საპროგრამო ნიმუშად მიიჩნევა, მისი გარდაცვალების შემდეგ აქსელ ოლრიკმა განაგრძო. იგი სიცოცხლის ბოლომდე მუხლჩაუხრელად მუშაობდა დანიური ეპიკური მემკვიდრეობის აკადემიურ გამოცემაზე.

1892 წელს აქსელ ოლრიკს დოქტორის ხარისხი მიენიჭა სადისერტაციო ნაშრომისთვის, რომელშიც მან საქსონ გრამატიკოსის წყაროებში დასავლეთ სკანდინავიური ვიკინგური თქმულებები შეისწავლა. მის მიზანს დანიური ზეპირსიტყვიერებისა და ჩრდილოური თხრობითი ტრადიციის აღრეული და გვიანდელი შრეების გამოყოფა, კერძოდ, ლეგენდების ისტორიული საფუძვლისა და პოეტური გადამუშავებების ურთიერთმიმართება წარმოადგენდა. 1896 წელს აქსელ ოლრიკი უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოვდა პოეტური ედას ეპოქის დადგენისთვის, კერძოდ, კვლევისათვის, თუ როდის განვითარდა ედას სიმღერების დასავლეთსკანდინავიური შტო.

საქსონ გრამატიკოსის თხზულებებში ზეპირსიტყვიერი ტრადიციის აღმოჩენის გარდა, უნდა აღინიშნოს დანიური საგმირო პოეზიის კრიტიკული ისტორიაც (*“Denmarks Heltedigtning”*, 1903), აქსელ ოლრიკის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი.

აქსელ ოლრიკის ნაშრომები დანიურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გაბნეულია სკანდინავიურ, ბრიტანულ და

გერმანულ პერიოდიკაში. მისი მონოგრაფია რაგნაროკის წარმოშობაზე (Om ragnarok, anden afdeling: ragnarok-forestillingernes udspring, 1914) მოიცავს სკანდინავიური, ირანული და კავკასიური, მათ შორის, ქართული მითოლოგიის თემათა შედარებით ანალიზს.

აქსელ ოლრიკმა საფუძველი ჩაუყარა ედას გამოცემას და ასევე – მსოფლიოს ხალხთა მითების გამოცემათა სერიას. წლების განმავლობაში იგი კოპენჰაგენის სამეფო ბიბლიოთეკის ფოლკლორული კოლექციის დირექტორი იყო. მისი დაარსებულია დანიური ფოლკლორის მუზეუმი. იგი არის ერთ-ერთი დამფუძნებელი ჰელსინკის ფოლკლორისტთა კავშირისა (Folklore Fellows' Communications), რომელიც დღემდე ფოლკლორისტთა ერთ-ერთი უმთავრესი სამეცნიერო და საგამომცემლო ინსტიტუციაა. აქსელ ოლრიკის მიერ გამოცემული ზღაპრების კრებულები და სამეცნიერო-პოპულარული წიგნი „ჩრდილოელთა კულტურული ყოფა ვიკინგების ეპოქასა და ადრე შუა საუკუნეებში“ მის თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე გავრცელებული საკითხავი იყო. ომის პირველ წლებში იგი საჯარო ლექციებს კითხულობდა მასწავლებლებისთვის, ჯარისკაცებისა და მუშებისთვის.

ოლრიკის ნაშრომები შედარებითი მითოლოგიის საკითხებზე, კრიტიკული დამოკიდებულებისა და სამეცნიერო ალღოს წყალობით, არ ძველდება. მას, იმ ეპოქის ბევრი

მკვლევრისაგან განსხვავებით, არ იტაცებდა ფანტაზიები. იგი უარს ამბობდა მითებით სპეკულირებაზე. მასალის შესწავლისას ოლრიკი ითვალისწინებდა გეოგრაფიულ, ეთნიკურ და კულტურულ ასპექტებს და მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ აძლევდა თავს უფლებას, შეედგინა მითის ვერსიის გავრცელების რუკა.

აქსელ ოლრიკის სტატია „ხალხური სიტყვიერების ეპიკური კანონები“ (1909), რომელსაც მოგვიანო თაობის ევროპელმა და ამერიკელმა ფოლკლორისტებმა მაღალი შეფასება მისცეს და ზეპირსიტყვიერების არსებითი ნიშნების თეორიული განმარტებისათვის თანამედროვე კვლევებში ყოველთვის იმონებენ, საქართველოში ნაკლებად ცნობილია. არადა, ხალხური ნაწარმოების კომპოზიციის კანონზომიერებათა აღმოჩენის გაბედული მცდელობა წინ უსწრებს ზღაპრისა და მითის საყოველთაოდ აღიარებულ სტრუქტურულ კვლევებს – ვლადიმირ პროპის „ზღაპრის მორფოლოგიას“ (1928) და კლოდ ლევი-სტროსის „მითის სტრუქტურულ შესწავლას“ (1955). აქსელ ოლრიკის ეპიკური კანონების თეორია ფოლკლორის თხრობით ჟანრებს თითქმის მთლიანად მოიცავდა. მან, შეიძლება ითქვას, იწინასწარმეტყველა სტრუქტურული ანალიზის პერსპექტივა თავისი „დაპირისპირების კანონით“, ერთ-ერთი ფოლკლორული კანონზომიერების აღწერით.

„ხალხური სიტყვიერების ეპიკური კანონების“ პირველი პუბლიკაცია

აქსელ ოლრიკმა თავისი ნაშრომი ეპიკური კანონების შესახებ 1908 წელს ბერლინში ინტერდისციპლინურ კონგრესზე ფინელ, ნორვეგიელ, გერმანელ და ბელგიელ ახალგაზრდა მეცნიერთა წრეს წარუდგინა. ეს მოხსენება 1909 წელს გერმანულ ჟურნალში *“Zeitschrift für deutsches Altertum und deutsche Literatur”* (Bd. 51) დაიბეჭდა სათაურით *“Epische Gesetze der Volksdichtung”* (გვ. 1-12). რედაქციის შენიშვნიდან ვიგებთ კონგრესის მონაწილეთა ვინაობას: „ამ კრებულში იბეჭდება ის მოხსენებები, რომლებიც 1908 წლის აგვისტოში ბერლინის IV საერთაშორისო საისტორიო კონგრესზე შუა საუკუნეებისა და ახალი ეპოქის კულტურულ-ისტორიულ სექციაში წაიკითხეს აქსელ ოლრიკმა, კაარლე კრონმა (Kaarle Krohn), ალექსანდერ ბუგემ (Alexander Bugge), კარლ ფორეჩმა (Carl Voretzsch) და ვილემ ვრისმა (Willem de Vreese). მოხარული ვართ, მკითხველთა ფართო წრეს გავაცნოთ ძირითად და დამხმარე დისციპლინათა მდიდარი მასალა და კვლევის შედეგები“.

აქსელ ოლრიკის ნაშრომში ხშირადაა გამოყენებული ტერმინები „თქმულება“ (Sage) და „თქმულებათა სამყარო“

(Sagenwelt). ოლრიკი გერმანულ სიტყვას “Sage” იყენებს ყველა ინკლუზიური ტერმინისთვის, რომელიც აერთიანებს ზღაპარს, მითს, ლეგენდას და ხალხურ სიმღერას. მეცნიერი თქმულებათა სამყაროში სხვა ზეპირსიტყვიერ ჟანრებსაც გულისხმობს. ეს დამოუკიდებელი სამყაროა, რეალური სამყაროსგან გამიჯნული, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი კანონები და რეგულაციები. თქმულებათა სამყაროს კანონები ისევე მოქმედებენ ფოლკლორულ ჟანრებში, როგორც ყოველდღიური კანონები ობიექტურ რეალობაში. აი, ეს მიზეზია სწორედ, რაც ოლრიკს ათქმევინებს, რომ ფოლკლორი უნდა ფასდებოდეს თავისი საკუთარი საზომით და არა ცხოვრების კანონებით. ფოლკლორს არ ევალება, დაემორჩილოს სხვა კანონებს, გარდა საკუთრისა.

აქსელ ოლრიკის თეორია თანამედროვე ფოლკლორისტიკის პერსპექტივიდან

აქსელ ოლრიკის „ხალხური სიტყვიერების ეპიკური კანონები“ ფოლკლორისტულ თეორიათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მისი თეორიის გამოქვეყნებიდან ას წელზე მეტი გავიდა და, ცხადია, კრიტიკულ შეფასებებსაც ვერ ავეუღლით გვერდს.

აქსელ ოლრიკი თქმულების (Sage) ცნებაში აერთიანებს მითსაც, სიმღერასაც, ზღაპარსაც, ლეგენდასაც. ყველა ამ ჟანრის ნაწარმოებებში მოქმედებს ზეკანონი, რომელსაც მთხრობელი გაუცნობიერებლად ემორჩილება. ხალხური სიტყვიერების ჟანრები უნივერსალურ კანონებს ექვემდებარება – ასეთია აქსელ ოლრიკის ძირითადი თეზა.

თუ იაკობ გრიმი (1785-1863) ყურადღებას ამახვილებდა ხალხის როლზე ფოლკლორული ტექსტის შექმნაში – „ხალხი ბრწყინვალე შემოქმედია, ხალხური პოეტური სახეები მხატვრული ოსტატობითა და ესთეტიკური ღირებულებით არ ჩამორჩებიან ინდივიდუალურ პოეზიას“ – აქსელ ოლრიკის თეორია უფრო ძლიერად მიიჩნევს თავად ხალხუ-

რი შემოქმედების კანონებს. ოლრიკის თეორიით, ფოლკლორის შემოქმედებით პროცესს ეს კანონები მართავენ.

მითებში, საგმირო სიმღერებში, ლეგენდებში, ზღაპრებსა და თქმულებებში შემდეგი კანონები მოქმედებს:

- ◆ დასაწყისისა და დასასრულის კანონი,
- ◆ განმეორება,
- ◆ რიცხვი „სამი“,
- ◆ სცენური ორის პრინციპი,
- ◆ საპირისპიროს კანონი,
- ◆ ტყულების კანონი,
- ◆ ფინალური ეპიზოდის მნიშვნელობა,
- ◆ შემოსაზღვრულობა,
- ◆ სქემატიზაცია,
- ◆ პლასტიკა (გაქვავებული სცენა),
- ◆ თქმულების ლოგიკა,
- ◆ მოქმედების ერთიანობა,
- ◆ კონცენტრაცია მთავარ გმირზე.

პერსონაჟთა და მოქმედებათა განაწილებისას პირველისა და უკანასკნელის პრინციპი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ პერსონაჟს თანაუგრძნობს მთხრობელი. ოლრიკმა წონასწორობის აღსანიშნავად აქ სანაოსნო ტერმინები გამოიყენა, კერძოდ, გემის ქიმი – წინა მხარე და გემის

კიჩო – ზურგის ნაწილი (დანიურად – *forvaegt da bagvaegt*). ეპიკური კანონის თანახმად, უკანასკნელი – კიჩო (გერმ. *das Achtergewicht*) – ყოველთვის მნიშვნელოვანია.

აქსელ ოლრიკის ეპიკური კანონების კონცეფცია ანალოგიურია ანთროპოლოგების „კულტურის სუპერორგანული კონცეფციისა“. სუპერორგანულში ანთროპოლოგები გულისხმობენ იმას, რომ კულტურა ავტონომიური აბსტრაქტული პროცესია: მის წარმოშობასა და განვითარებას ვერ განვმარტავთ სხვა ფენომენით. თუ ორგანული საფეხური ადამიანს გულისხმობს, სუპერორგანული ადამიანზე მაღლა დგას. სუპერორგანისტებს ანთროპოლოგიაში აქვთ აბსტრაქტული მოდელი ან პრინციპები, როგორებიცაა ევოლუცია, ადამიანის საქციელი და კულტურა.

რადგანაც ოლრიკის ეპიკური კანონები სუპერორგანულის მსგავსია, ისინი წარმოდგენილია, როგორც მაკონტროლებელი ძალა ინდივიდუალური მთხრობლისათვის. თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, ხალხური მთქმელი მხოლოდ ბრმად მისდევს ამ კანონებს, ეს კი ფოლკლორისტიკაში სადავო საკითხია. სუპერორგანული კანონები ყოველგვარ ინდივიდუალურ კონტროლზე მაღლა დგას – ეს მოსაზრება ფოლკლორს საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლის ობიექტს ამსგავსებს, ხალხს ფოლკლორიდან გამორიცხავს. ამ მეთოდით, თითქმის არარელევანტური ხდება, რომ ფოლკლორი ინდივიდს სხვა ადამიანებთან აკავშირებს.

აქსელ ოლრიკი არ არის ერთადერთი ფოლკლორისტი, რომელიც სუპერორგანულ კანონებს აღიარებდა. მისი თანამედროვე ვალტერ ანდერსონიც (1885-1962) გამოთქვამდა არგუმენტირებულ მოსაზრებას თვითკორექციის კანონზე (**Das Gesetz der Selbst-Berechtigung**), რომლის თანახმად ნარატივები საკუთარ ტრადიციულობას თვითონ არეგულირებენ და მთხრობლები მხოლოდ ხალხური თხრობის კანონებს მისდევენ (**W. Anderson. Keiser und Abt: Die Geschichte eines Schwanks. Helsinki 1923**). არ არის გამორიცხული, რომ ამ მოსაზრებებს იცნობდა აქსელ ოლრიკისა და ვალტერ ანდერსონის ქართველი თანამედროვე ვახტანგ კოტეტიშვილიც (1893-1937), რომელიც „ხალხური პოეზიის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ჩვენი ხალხური პოეზია იმავე ნიშნებს გვიჩვენებს, რაც დამახასიათებელია სხვადასხვა მოდემის ფოლკლორისათვის“ (ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. თბილისი 1961, გვ. 10).

ზოგადად, ფოლკლორული შემოქმედების არსებითი ნიშანი – ტრადიციულობა თავისი ენობრივ-სტილისტური ფორმებითა (მეტაფორები, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, რიტორიკული მიმართვები, ინტონაციები, რითმები) და შინაარსით თავისთავად შეიცავს კანონზომიერებათა იდეას. აქსელ ოლრიკი მათ ეპიკურ კანონებს უწოდებდა. ინდივიდუალობასა და ორიგინალობაზე მეტად ხალხურ თხრობით ჟანრებს კოლექტიური ქვეცნობიერი წარმართავს. აქ აუცი-

ლებლად უნდა გავავლო პარალელი ქართული ხალხური პოეზიის ვახუშტი კოტეტიშვილისეულ კონცეფციასთან, რომ ჭეშმარიტად ხალხური მელექსის შემოქმედების ნაყოფი ხალხში მის გავრცელებამდე უკვე საკუთარ თავში შეიცავს ყველა იმ ნიშან-თვისებას, რომელიც ხალხურ ნააზრევს უნდა ახასიათებდეს, ვინაიდან მას საფუძველშივე უდევს კოლექტიური აზროვნების კოდი.

XX საუკუნის ბოლოს ქართველ სახალხო მთქმელთა რეპერტუარშიც კი ყურადღებას იქცევს ლექსის დასაწყისში მიმართვა საკრავისადმი: „ლექსის თქმა მწადის, ჩონგურო“, „იძახე, ჩემო ჩონგურო“, „შირაქში კიბალაურმა გართა ფანდურის ღარია“ და მისთ. პრელუდები სიმღერის დაწყებამდე უძველესი ეპოსის მახასიათებელია. წარსულ ტრადიციებთან უწყვეტი კავშირით აიხსნება საკრავისადმი მიმართვის ჩვევაც ქართველი მოლექსისა, რომელმაც „არც ჰომეროსის ჰიმნები იცოდა და არც ბერძნული აედებისა თუ პროვანსელი ტრუბადურებისა ანდა გერმანელი მინეზინგერებისა თუ სკანდინავიელი სკალდების პოეტიკა, მან მხოლოდ ის იცოდა, რომ მისი წინაპრები თავიანთ სიმღერებს ხშირად ასე იწყებდნენ ხოლმე, ვინაიდან ეს სიმღერები ფანდურისა და ჩონგურის აკომპანიმენტის თანხლებით იქმნებოდა და სრულდებოდა“ (ვ. კოტეტიშვილი. კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო. თბილისი 2007, გვ. 387).

ფოლკლორი თავისი მარად განმეორებადი ფორმებითა და თემებით უძვირფასეს მასალას წარმოადგენს იმ მკვლევარებისათვის, რომელთაც ზოგადად ადამიანის ყოფის კანონზომიერებათა პრინციპების აღმოჩენა აინტერესებთ, აქსელ ოლრიკის ეპიკური კანონების კონცეფცია კი ერთ-ერთი ძლიერი თეორიული საფუძველია ფოლკლორის სტრუქტურული თვალსაზრისით შესასწავლად.

ელენე გოგიაშვილი
თბილისი, 2023 წლის ივლისი

აქსელ ოლრიკი

ხალხური სიტყვიერების ეპიკური კანონები¹

ხალხურ თქმულებათა შესწავლისას გაკეთებული უახლესი აღმოჩენები უმეტესად მონოგრაფიულ გამოკვლევებს ეყრდნობა. ამგვარ მონოგრაფიებზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ამავე დროს ზოგად საკითხებსაც უნდა დაეთმოს ყურადღება, კერძოდ, თქმულებათა კვლევის მეთოდსა

¹ ეს სტატია ბერლინის საისტორიო კონგრესზე 1908 წელს წაკითხული მოხსენების შემოკლებულ ვერსიაა. მცირედ განსხვავებული ფორმითა და სხვა საილუსტრაციო მასალით იგივე მოსაზრება წარვადგინე ჟურნალში “Danske Studier” (1908, 69-89). ჩემს წინამორბედად მოვიხსენიე გუდმუნდ შუტე (Gudmund Schütte. Oldsagn om Godtjod, S. 94-117: Remsen og rangforhold); მისი ტერმინებია „გემის ქიმი“ და „გემის კიჩო“ („forvaegt“ და „bagvaegt“; შდრ. ჩემი ცნობა DST. 1907, S. 193-201). ახლახან ასტრიდ ლუნდი „ეპიკური კანონების“ გაქრობაზე ლაპარაკობდა (Astrid Lund. Indiansk sagndicht og de episke love, DST. 1908, S. 175-88). მასვე ვუხდის მადლობას მოწოდებული მასალისთვის ზლაპრის „დასასრულის კანონებზე“ (აქსელ ოლრიკის შენიშვნა).

და თქმულების ბიოლოგიას. ეს მეტად საშური საქმეა. ერთ დროს ამას მეც ვიკვლევდი კოპენჰაგენის უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად. ცხადია, აქ ყველა კვლევას ვერ წარმოვადგენ, მაგრამ ვეცდები, ბიოლოგიურ ნაწილზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა.¹

ვისაც კი ხალხურ სიტყვიერების ტექსტებზე უმუშავია, ყველა შენიშნავდა: რაც უნდა უცნობი ხალხის ფოლკლორულ ნიმუშს ვკითხულობდეთ, უთუოდ რაღაც ნაცნობს აღმოვაჩენთ, თუნდაც ის ხალხი და მისი თქმულებათა სამყარო ჩვენი მშობლიურისგან სრულიად განსხვავებული იყოს.

¹ აქსელ ოლრიკი სიტყვა „ბიოლოგიას“ სიუჟეტის აგებულების მნიშვნელობით იყენებს – ბიოლოგიური თვალსაზრისი ფოლკლორისტს საერთო კანონთა ფორმულირებაში უნდა დაეხმაროს. მოგვიანებით ფოლკლორისტიკაში გაჩნდა ტერმინი „თხრობის ბიოლოგია“, რომელიც, ოლრიკის „ბიოლოგიისგან“ განსხვავებით, აქცენტს აკეთებს არა ტექსტის სტრუქტურაზე, არამედ ზეპირი გადმოცემის კონტექსტის შესწავლაზე, მთხრობლისა და მსმენელის ურთიერთობების, სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის ანალიზის ჩათვლით. თხრობის ბიოლოგია და თხრობის სოციოლოგია ფოლკლორისტიკაში ერთგვარი მეთოდოლოგიური სკოლებია, რომლებიც კარლ ვილჰელმ ფონ სიდოვის შრომებიდან ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებიდან იღებს სათავეს. ამ მეთოდს იყენებდნენ უილიამ ბესკომი, მაქს ლიუთი, მარკ აზადოვსკი, ლინდა დეგი და სხვები (მთარგმნელის შენიშვნა).

ამ მსგავსებას ორი მიზეზი აქვს: ყველა ხალხის საერთო სულიერი მდგომარეობა განვითარების საწყის ეტაპზე და მისი შესაბამისი პირველყოფილი წარმოდგენები და მითოლოგია. თუმცა საქმე არც ისე მარტივადაა. ჩვენ ყველაზე მეტად გვაფიქრებს არა საერთო ცნობიერება, არამედ ცალკეული მახასიათებლები. რატომ არის, მაგალითად, უმცროსი ძმა ყველაზე ილბლიანი? რატომ ჰყვებიან მოკლედ და სხარტად სამყაროს შექმნის ამბავს გინდა ძველ, გინდა ახალ ეპოქაში? რატომ ყოფნის ქვეყნიერების გაჩენის აღწერას სამიოდე აბზაცი?

თუ შევეცდებით, ეს ურთიერთდამთხვევები დავაჯგუფოთ, მივიღებთ არა ზღაპრის ბიოლოგიას, არა მითების სისტემატიზაციას, არამედ უფრო ფართო, მრავლისმომცველ კატეგორიას – თქმულებას.¹ თქმულებას ზღაპარიც,

¹ ორიგინალში: **Sage** (გერმ. თქმულება). თქმულებისა და ზღაპრის ურთიერთგანსხვავების ყველაზე მოკლე და მრავლისმომცველი განმარტება ძმებ გრიმებს ეკუთვნით: „ზღაპარი უფრო პოეტურია, თქმულება – უფრო ისტორიული“. თქმულება მოგვითხრობს ცნობილ ტოპონიმთან დაკავშირებულ ამბავს, რომელიმე ისტორიული პირის ცხოვრების ეპიზოდს ან აღწერს რაიმე გამორჩეულ მოვლენას. თქმულება და ზღაპარი განსხვავებული ფოლკლორული ჟანრებია. თქმულებას აქვს ტენდენცია, გადმოსცეს ისტორია, ზღაპარი კი მხატვრული გამონაგონია. რადგან აქსელ ოლრიკი „თქმულებას“ ზოგადად თხრობითი ჟანრის მნიშვნელო-

მითიც, სიმღერაც, საგმირო თქმულებაც და ეტიოლოგიური თქმულებაც. მათი კომპოზიციის საერთო წესებს **ხალხური სიტყვიერების ეპიკური კანონები** შეიძლება ვუწოდოთ. ამ კანონებს ემორჩილება ზოგადად ევროპული და არა მარტო ევროპული თქმულებები. ზოგადად, ფოლკლორული ჟანრები ამ საერთო ეპიკურ ფორმულებს ექვემდებარება. მათი ეროვნული თავისებურებები მხოლოდ დიალექტურ დონეზეა შესამჩნევი. ამიტომ ამ შესაბამისობებსა და დამთხვევებს კანონები უნდა ვუწოდოთ, რადგან ისინი კომპოზიციის თავისუფლებას მკაცრი ჩარჩოებით ზღუდავენ და ლიტერატურულ ნაწარმოებებს არ ჰგვანან.

დავიწყებ ყველასათვის ნაცნობი კანონით. ეს არის **დასაწყისისა და დასასრულის კანონი**. თქმულების დასაწყისი სტატიკურია, დასასრული კი – დაუსრულებელი. სიმშვიდიდან უნდა განვითარდეს აქტიური მოქმედება და ფინალურ ეპიზოდში, რაც პერსონაჟისათვის ხშირად კატასტროფაა, აქტიური მოქმედება უნდა დაცხრეს. ეპოსს არ შეუძლია, თხრობა როლანდის უკანასკნელ ამოსუნთქვაზე შეწყვიტოს. თხრობა გრძელდება, სანამ მის მაჯას მახვილის ვადაზე არ დაეძინება, ვიდრე მას არ დაკრძალავენ, სატოფო შურს არ იძიებს და მოღალატე არ დაისჯება. დიდ

ბით იყენებს, მის მიერ ჩამოთვლილ მაგალითებში ზღაპრებშიც გვხვდება (მთარგმნელის შენიშვნა).

ლექსს დამშვიდებისთვის უფრო მეტი პუნქტი სჭირდება, პატარას ერთიც ეყოფა. არსებობს უამრავი ხალხური სიმღერა, რომლებიც მთავრდება არა შეყვარებული წყვილის სიკვდილით, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ საფლავზე ამოსული ვარდის ბუჩქები ერთმანეთს გადაეხვევა.¹ ათასობით თქმულება მოგვითხრობს გარდაცვლილის შურისძიებასა თუ ბოროტის დასჯაზე ან კიდევ მოქმედების გაგრძელებაზე: ნანგრევებში დადის მორჩენება, საფლავიდან ამოდის ლანდი და სხვა. ეს გაგრძელებები მხოლოდ თხრობის სურვილზე როდი მიაწიწნება, არამედ აქ ფორმალურ ვალდებულებასთან გვაქვს საქმე.

კოპენჰაგენის სემინარის ერთ-ერთ თანამშრომელ ქალს აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა გამონაკლისი ამ კანონებს და მან ამ მიზნით შეისწავლა დანიური ზღაპრები, რომლებიც ჯადოს ახსნით მთავრდება. ყველაზე მეტად ამგვარ ზღაპრებში იყო მოსალოდნელი მკვეთრი დასასრული, მაგრამ ზღაპარი არასოდეს მთავრდება სიტყვით „გადარ-

¹ შეყვარებულთა საფლავზე ამოსული ყვავილების მოტივი სტილთ თომპსონის მოტივთა საერთაშორისო საძიებლის მიხედვით არის E 631.0.1. Thompson, St. *Motif-Index of Folk-Literature: A Classification of Narrative Elements in Folktales, Ballads, Myths, Fables, Mediaeval Romances, Exempla, Fabliaux, Jest-Books and Local Legends*. Reprint ed. Bloomington, Indiana University Press, 1975 (მთარგმნელის შენიშვნა).

ჩა“. უეცრად ჯადოს ახსნას მოჰყვება დამატებითი მოქმედებები. ხშირად კატასტროფის შემდეგ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები გადარჩებიან. თუ მეტად გაგრძელება აღარ შეიძლება, მაშინ მოდის გრძელი ფორმულა დაძაბულობის დასაცხრობად. მთხრობელი ზღაპარს ლელვის ფოთოლს აფარებს სიშიშვლის დასაფარად. დასასრულის კანონი ზღაპრებში გამონაკლისის გარეშე მოქმედებს.

თუმცა მაინც ვერ ვიტყვოდი, რომ თქმულებებში გამონაკლისი არ არსებობს. ესპანურ სატრფიალო თქმულებებში ხშირად ვხვდებით უეცარ დასაწყისს ან დასასრულს. მაგალითად, ტყვე სიკვდილის მოლოდინში თავს სიმღერით იქცევს. დაასრულებს თუ არა სიმღერას, კარი გაიღება და გამოჩნდება მისი მხსნელი მეფის ასული. ამ ლიტერატურულ რეგიონში ეს ხშირი მოვლენაა, რაც მიუთითებს ახალი პოეტური ფორმის წარმოშობაზე, ისეთზე, რომელიც არ გვხვდება ხალხურში, თანამედროვე პოეზიისთვის კი კარგად ნაცნობია.

მეტად მნიშვნელოვანია **გამეორების კანონი**. ახალი პოეზია სხვა ხერხს მიმართავს: იდეას ცალკეულ დეტალთა ხატვით გადმოსცემს. ხალხურ პოეზიას სწორედ ეს შევსებული აღწერა აკლია, რადგან ამით მალე დამთავრდებოდა. ამის თავიდან ასარიდებლად მას მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს – გამეორება: სამ დღეს ზედიზედ მიდის ქაბუკი გოლიათების მინდორში და ყოველდღე თითო გოლიათს

ამარცხებს; ის სამჯერ ადის შუშის მთაზე; ერთ ღამეში გოგო სამ ვაჟს მოაჯადოებს.¹ ყველგან, სადაც შთამბეჭდავი სცენა უნდა აღწეროს, პოეზია ამას გამეორების მეშვეობით აკეთებს. ეს არა მხოლოდ ინტრიგისთვის, არამედ მხატვრული გამონაგონის შესავსებად არის მნიშვნელოვანი. გვხვდება აღმავალი გამეორება ან სადა, უბრალო გამეორება, მაგრამ გამეორების გარეშე თქმულება არ არსებობს.

გამეორება თითქმის ყოველთვის სამმაგობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ რიცხვი სამი უკვე თავისთავად კანონია, რომელიც ზღაპარში, მითსა და ეტიოლოგიურ თქმულებაშიც კი დაუფერებლად ხშირია. ეს ყველამ კარგად იცნობს. შეიძლება ასეულათასობით ხალხურ მოთხრობაში შვიდი, თორმეტი და სხვა რიცხვებიც ჩნდება, მაგრამ ისინი აბსტრაქტულ რაოდენობას გამოხატავენ. სამი არის ადამიანებისა და ნივთების დასათვლელი ყველაზე დიდი რიცხვი. არაფერი განასხვავებს ხალხურ და ინდივიდუალურ შემოქმედებას ისე, როგორც სამმაგობის პრინციპი. ცხოვრების

¹ ეს არის მოტივი H 331.1.1: ხელისმოთხოვნელთა შეჯიბრი. შუშის მთაზე ასვლის მოტივი გვხვდება საერთაშორისო საზღაპრო ტიპში ATU 530 *პრინცესა შუშის მთაზე*, Uther, H.-J. *The Types of International Folktales: A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson*. Parts 1–3. Folklore Fellows' Communications 284-86. Helsinki, Academia Scientiarum Fennica, 2004 (მთარგმნელის შენიშვნა).

ამგვარი სტილიზაცია ხალხური შემოქმედების ნაწილია. როცა თქმულების მკვლევარი სამ რიცხვს შეხვდება, იმ შევიცარიელისა არ იყოს, რომელმაც ალპები დაინახა, მაშინვე წამოიძახებს: აი, შინ ვარ!

მიუხედავად ამისა, სამმაგობის პრინციპი ყველა ხალხის ეპოსზე არ ვრცელდება. ინდურ მოთხრობებში, განსაკუთრებით ლიტერატურულად გადამუშავებულ გადმოცემებში, ოთხჯერ გამეორება უფრო ხშირია.¹ ეს ინდოელთა რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება. ინდური ზღაპრების კრებულები სავსეა საყოფაცხოვრებო ამბებით, მაგრამ მოქმედება არ არის გასამმაგებელი. მკვლევარი მიხვდება, რომ სამმაგობა სიუჟეტში არსებობდა, მაგრამ მოთხრობელმა მას თავი აარიდა. ბერძნული, კელტური, გერმანული ზღაპრებისა და საკულტო მითოლოგიური გადმოცემების უმეტესობა მოთხრობაში სამმაგობის პრინციპს მისდევს. სამმაგობის ამგვარი მხატვრული ხერხი კაცობრიობის ისტორიაში საუკუნეებსა და ათასწლეულებს ითვლის. ის დამახასიათებელია სემიტური, უფრო მეტად კი – არიული კულტურისთვის. მისი წარმოშობა პრეისტორიულ ბინდბუნდში იკარგება, მაგრამ რიცხვი „სამი“ სულიერ ცხოვრებაში დღე-

¹ სამმაგობის პრინციპი სხვა მეცნიერებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ოლრიკამდეც აქვთ შენიშნული. იხ. მაგალითად, Usener, H. „Dreiheit“, Rheinisches Museum für Philologie, Bd. 58 (1903), 1-47 (მთარგმნელის შენიშვნა).

საც უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია. ჰომეროსთან სამმაგობა ძალადაკარგულია და დასულია უმცირეს დეტალებამდე, რამდენადაც მოქმედება ამის საშუალებას იძლევა. აქილევსი სამჯერ შემოატარებს ჰექტორის გვამს ტროას გარშემო. ასევეა ჩვენს დანიურ ხალხურ სიმღერებში. „უფროსი ედას“ საგმირო სიმღერებში რიცხვი „სამი“ იმდენად არ გვხვდება, მითოლოგიურ სიმღერებში კი დიდ როლს ასრულებს.¹ ერთი ნაბიჯით წინ დგას ისლანდიური საგვარეულო საგა, რომელშიც სამმაგობის პრინციპი არ არის გამოყენებული და ამით ის თანამედროვე რომანს უახლოვდება. მხოლოდ ერთი საგა (*Hawardsaga Isfirdings*) არ ივინყებს ძველ ჩვეულებას. მთელ კლასიკურ ეპოქასა და ევროპულ შუა საუკუნეებში ვხედავთ, როგორ ცდილობს თხრობის ტრადიცია, გაექცეს სამმაგობის პრინციპს. ამას ახერხებს შვანკებით,² რომლებიც სინამდვილეს რეალისტურად ან თუნდაც ფანტასტიკურად ასახავს. სამმაგობიდან გაქცევა არის შედეგი.

საკუთრივ ხალხურ ეპოსში ან, უფრო ზუსტად, იმ თქმულებებში, რომლებიც სამმაგობის პრინციპს ემორჩილება, კანონი მკაცრად მოქმედებს. ნატურისთვის ზღაპრის ორა-

¹ „უფროსი ედა“ პოეტურია, „უმცროსი ედა“ – პროზაული (მთარგმნელის შენიშვნა).

² შვანკი – გერმანული სატირული მოთხრობის ჟანრი (მთარგმნელის შენიშვნა).

სამდე ვარიანტი მინახავს და უკლებლივ ყველა სამმაგობის პრინციპს იცავს.¹ მხოლოდ ერთ ლიტერატურულ გადამუშავებაში, ფორტუნატუსის მოთხრობაში, არის ორმაგი მოქმედება (აქ დამონმებულია აარნეს ცნობილი *“Vergleichende Märchenforschungen”*, Helsingfors 1907, S. 131). ყველა ხალხურ ვარიანტში არის რიცხვი „სამი“.

გადავალ სხვა რიცხვებზე. ერთ ეპიზოდში შეიძლება შეგვხვდეს არაუმეტეს ორი მოქმედი გმირისა. სამი პერსონაჟი ერთდროულად, საკუთარი ხასიათითა და მოქმედებით არ გვხვდება. სცენაზე რიცხვი „ორის“ პრინციპი მკაცრად არის დაცული. ზიგფრიდის ბრძოლა ურჩხულთან ამის საუკეთესო მაგალითია. სცენაზე აუცილებლად ორი გმირი ჩანს: ზიგფრიდი და რეგინი, ზიგფრიდი და მისი დედა, ზიგფრიდი და ოდინი, ზიგფრიდი და ფაფნირი, ზიგფრიდი და ჩიტები, ზიგფრიდი და გრანი. ორმაგობის წესი იმდენად ძლიერია, რომ ჩიტები მხოლოდ მას შემდეგ დაელაპარაკებიან ზიგფრიდს, როცა რეგინი დაიძინებს (რაც ეპიკურად ზედმეტია). პრინციპსა ზღაპარში ურჩხულთან ბრძოლისას მხოლოდ უსიტყვო პერსონაჟად შეიძლება მოგვევლინოს. სა-

¹ ეს არის ზღაპრის ტიპი ATU 566 *სამი ჯადოსნური საგანი და ჯადოსნური ხილი*. გმირი სამჯერ კარგავს და პოულობს ნატვრისთვალს, ნატვრის ბეჭედს, ჯადოსნურ ქისასა და მისთ. (მთარგმნელის შენიშვნა).

მი და მეტი მოქმედი გმირის შემოსვლა ეპიზოდში დამახასიათებელია დრამისთვის, ხალხურ პოეზიაში კი აკრძალულია.

სცენური ორმაგობა შეესაბამება დაპირისპირების უდიდეს კანონს.¹ საგა კიდეც უფრო პოლარიზებულია. ძლიერი თორი ჭკვიანი ოდინის ან ცბიერი ლოკის გვერდით დგას, მდიდარი პეტერ კრემერი – ღარიბი პოლ შმიდის, მგლოვია-რე ქალი – მხიარულის. ეს არის ეპიკური კომპოზიციის მთავარი წესი: ყმანვილი და ბერიკაცი, დიდი და პატარა, ადამიანი და ურჩხული, კეთილი და ავი.

დაპირისპირების კანონი თქმულების მთავარ გმირსა და მეორეხარისხოვან პერსონაჟებზეც მოქმედებს. მათი ხასიათი და მოქმედება ანტითეზისურად არის განსაზღვრული. ამის თვალსაჩინო მაგალითია დანიელთა მეფე როლოფი, რომელიც, თავისი ხელგაშლილობის გამო, ჩვენს საგმირო ეპიკურ სიმღერებში ხოტბაშესხმულია. მას სჭირდება ხარბი მოწინააღმდეგე, მაგრამ ამ მოწინააღმდეგის პიროვნება იცვლება – ის ხან სკიოლდუნგ რიორიკია (Skjoldung Rörik),

¹ ოლრიკმა წინ გაუსწრო კლოდ ლევი-სტროსისეულ მითის სტრუქტურულ ანალიზს. ლევი-სტროსი მითს ხედავდა, როგორც ლოგიკურ მოდელს, რომელშიც ოპოზიციები ერთმანეთს უკავშირდება. Lévi-Strauss, C. "The Structural Study of Myth", *Journal of American Folklore*, Vol. 68 (1955), 428-444 (მთარგმნელის შენიშვნა).

ხან შვედი ადისლი (**Adisl**).¹ როგორც კი რომელიმეს შეხვდება, კომპოზიციაც აიგება.

მოქმედების ზოგი ტიპი უშუალოდ შეესაბამება დაპირისპირების წესს: 1) გმირის სიკვდილი გამონვეულია ბოროტის ღალატით (როლანდი, რუსტემი, როლფ კრაკი, ზიგფრიდი);² 2) დიდ მეფეს ჰყავს უნიათო მემკვიდრე, რომლის მმართველობაც ხანმოკლეა (ჰიარვარდი (**Hjarward**) – როლფის შემდეგ, ჰიარნი (**Hjarni**) – ფროდის შემდეგ, „მოკლეთმიანი“ კი – კონხოზარის (**Conchobar**) შემდეგ).³ მეტსაც გეტყვით: როცა ორ პერსონაჟს ვაკვირდებით ერთსა და იმავე როლში, ორივე პატარა და სუსტია. ამ ურთიერთკავშირიდან გამომდინარეობს **ტყუპების წესი**. ტყუპების ცნება აქ ფართო მნიშვნელობისაა: ნამდვილი ტყუპები – დედ-

¹ ოლრიკის მიერ საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები დანიური და ისლანდიური საგების პერსონაჟების შესახებ განხილულია მის წიგნში. იხ. Olrik, A. *The Heroic Legends of Denmark*. New York, 1919 (მთარგმნელის შენიშვნა).

² პერსონაჟები ფრანგული ეპოსიდან „სიმღერა როლანდზე“, სპარსული „შაჰ-ნამედან“, დანიური ჰროლფის საგიდან და ნორვეგიული ვოლსუნგას საგიდან (მთარგმნელის შენიშვნა).

³ ჰიარვარდი და როლფი ჰროლფის საგის პერსონაჟები არიან, ჰიარნი და ფროდი საქსონ გრამატიკოსის *Gesta Danorum*-ის VI წიგნის 172-ე თავში გვხვდებიან, კონხოზარი და მოკლეთმიანი – კელტური კუხულანინის ეპიკური ციკლის გმირები გახლავთ (მთარგმნელის შენიშვნა).

მამიშვილები – ორი ადამიანი ერთსა და იმავე როლში. ნამდვილი ტყუპების ყველაზე ცნობილი მაგალითია რომაელი დევნილი ტყუპები რემი და რომულუსი.¹ ჩრდილოური თქმულებებისთვის უფრო დამახასიათებელია ორი უფლისწული, რომლებსაც ხოცავენ ან განდევნიან,² როგორც

¹ ამფიონი და ძეთოსი თებში, პელიასი და ნელეესი მიკენში, ლევკასტოსი და პარჰასიოსი არკადიაში (Hahn. *Sagwissenschaftliche Studien*, S. 340, *Arische Aussetzungs- und Rückkehrformel*). *Hrólfsaga Hrêdric Hrêðmund* (Béow. *Erp Eitil* (Allamál), *Signys Volsungasaga*, *Hedding Guthorm*) (ოლრიკის შენიშვნა).

² ჰროარი და ჰელგი (*Hrólfsaga*), *Hrêdric* და *Hrêðmund* (Béow.), *Erp* და *Eitil* (Allamál), *Signys-is ori Svili* (*Volsungasaga*), *Hedding* და *Guthorm*, *Regmer und Thorald* (*Saxo II*), *Roe und Scatus* (*Saxo II*). მოქმედებაში ნაბოლარა ძმა სრულიად გულგრილად არის მოხსენიებული, ხშირად ის უსიტყვო პერსონაჟია. „ორი ჰადინგი ერთსა და იმავეს აკეთებდა, რადგან ტყუპები და უმცროსები იყვნენ“ (*Hervarrarsaga*). ორის, როგორც უმნიშვნელო რიცხვის, მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ მაიერის წიგნიდან. იხ. R.M. Meyer. *Die altgermanische Poesie*, S. 74 f. ფართო გაგებით, ტყუპების ფორმირება ხალხურ პოეზიაში მეორეხარისხოვანი გმირებიდან მომდინარეობს: გუნარი და ჰოგნი, მაგრამ არა სიგურდი; ორი საქსონელი მებრძოლი და ფროვინის ორი ვაჟი ულფის წინააღმდეგ; სვიზდაგი და გაიგარდი სტარკადის წინააღმდეგ (გამონაკლისის სახით, ჰამდირი და სორლი, როგორც ისტორიული ფიგურ-

ზღაპრის გმირებს – ჰენზელსა და გრეტელს.¹ ორმაგობის კანონი უფრო შორსაც მიდის: ორი დიოსკური ზევსის ელჩია, ორი ყორანი ან ორი ვალკირია – ოდინის დესპანი. თუ ტყუპები მთავარი გმირები არიან, მაშინ დაპირისპირების კანონი ამოქმედდება. მაგალითად, დიოსკურებიდან ერთი სინათლეა, მეორე – სიბნელე, ცისა და მიწის წარმომადგენლები ერთი ქალისთვის იბრძვიან და ერთმანეთს ხოცავენ.

მე შევწყვეტ რიცხვებზე საუბარს და მომდევნო კანონზე გადავალ – **სიმძიმის გადანაწილებაზე პირველსა და უკანასკნელს შორის**. ვთქვათ, პერსონაჟთა და მოქმედებათა გარკვეული რაოდენობა გვაქვს. პირველ ადგილზე წარ-

რები ანდა მეორეხარისხოვანი პერსონაჟები სვანჭილდისა და იორმუნრეკის ურთიერთობაში) (ოლრიკის შენიშვნა).

¹ ზღაპრის ტიპი **ATU 327A ჰენზელი და გრეტელი**. პატარა და-ძმა მშობლებმა ტყეში მიატოვეს. მიუსაფარი და მშიერი ბავშვები ხეტიალის შემდეგ ჯადოქრის ქოხს მიადგებიან. ქოხი ტკბილეულისგან არის აშენებული. ვერაგი ჯადოქარი თავაზიანად მიიპატიჟებს და-ძმას, მაგრამ ჰენზელს გალიაში დაამწყვდევს, გრეტელს კი მოახლედ ამუშავებს. ჯადოქარი ყოველდღე ამონმებს, გასუქდა თუ არა ჰენზელი ისე, რომ დასაკლავად გამოდგეს. გრეტელი ძალას მოიკრებს და მოხერხებულად შესვამს ჯადოქარს ლუმელში, რომელიც ბავშვების შესანვავად იყო დანთებული (მთარგმნელის შენიშვნა).

ჩინებული¹ ხდება, ბოლო ადგილზე კი ის, ვის გარშემოც ეპიკური თხრობა იგება. ამ ურთიერთობის გამოსახატავად, მოდით, სანავიგაციო ტერმინები გამოვიყენოთ – გემის ქიმი და კიჩო. ეპიკური კანონი უფრო მეტ დატვირთვას ანიჭებს იმ გმირს, რომელიც უკანასკნელია, თხრობის ბოლოსაა მოტოვებული, როგორც გემის უკანა ნაწილი ზიდავს ყველაზე მძიმე ტვირთს. ყველამ ვიცით, რამდენს ნიშნავს ზღაპარში უმცროსი ძმის უკანასკნელი მცდელობა.² მესამე მცდელობა და გამარჯვება – ეს ეპიკური კანონია. თუ რელიგიურ ურთიერთობას განვიხილავთ, მაშინ ოდინი უფრო დიდია, ვიდრე მისი ორი თანმხლები. თუმცა, თუკი ეპიკურ თქმულებაში გადავლენ, მაშინ ისინი უკანასკნელნი აღმოჩნდებიან: ოდინი კი აღარ იქნება მთავარი ფიგურა ტრიადაში, არამედ სამი ღმერთიდან ბოლო – ლოკი.³

¹ იგულისხმება მაღალ სოციალურ საფეხურზე მდგომი ან ასაკით უფროსი პერსონაჟი – მეფე, უფროსი ვაჟი, უფროსი ძმა და ა.შ. (მთარგმნელის შენიშვნა).

² მოტივი H 1242: უმცროსი ძმა მარტო ასრულებს ძნელ დავალებას და იმარჯვებს (მთარგმნელის შენიშვნა).

³ ასე, მაგალითად, იდუნის, ანდვარისა და ფარერული Lokkatáttur-ის მითებში. ვოლუსპაში ადამიანის შექმნისას მონაწილეობენ ოდინი, ვილი, ვე, ასევე ჰარი, იაფნჰარი და ფრიდი, რომელთაგან ორი უკანასკნელი თანმხლებია ან „აფორმებს“ პირველს (ოლრიკის შენიშვნა).

ამგვარად, მე განვიხილე ხალხური თხრობის არსებითი ფორმულები. თუმცა საკითხი კვლავ ღიად რჩება, რადგან შეიძლება ტექსტის არსებითი სტრუქტურა კიდევ უფრო მოკლე ფორმულამდე დავიდეს.

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ პერსონაჟის ყოველი ატრიბუტი უნდა იყოს გამოხატული მოქმედებით, თორემ სიუჟეტური ქარგა ვერ აიგება.¹

თანამედროვე ლიტერატურას – ამ ტერმინის ფართო გაგებით – უყვარს სიუჟეტის სხვადასხვა კუთხიდან დამუშავება. ამის საპირისპიროდ, ხალხურ ნარატივში ინდივიდუალური დამოკიდებულება არ ჩანს. ხალხური ნარატივი ერთი მიმართულებით მიდის, არ ბრუნდება უკან, რათა ნაკლები დეტალები შეავსოს. თუ ამგვარი ინფორმაცია საჭი-

¹ ოლრიკი აქ გულისხმობს ხალხური ზღაპრისთვის დამახასიათებელ თხრობას, როცა მოქმედება გმირის თვისებას გამოხატავს. მაგალითად, თუ ამბავი იწყება სიტყვებით „იყო ერთი ობოლი გოგონა. საწყალი იყო, მაგრამ ლამაზი და კეთილი...“ ზღაპარში ეს აზრი გამოხატულია მოქმედებით და ეს მოქმედება დაკავშირებულია გერთან: 1) რომელსაც სახლიდან სამუშაოდ უშვებენ და კუტ პურს ატანენ; 2) რომელიც თავაზიანად ელაპარაკება ნი-თელჩაჩიან ქონდრისკაცს და კუტ პურს უნაწილებს; 3) რომელსაც ქონდრისკაცი სილამაზით ასაჩუქრებს: გოგონას თმის ვარცხნისას მარგალიტი სცვივა და გაღიმებისას ოქროს აფრქევს. ამგვარად, მისი უბედობა, თავაზიანობა და სილამაზე სიუჟეტის სამ ფაზაში არის გადანაწილებული (მთარგმნელის შენიშვნა).

როა, მაშინ ის დიალოგში იქნება გადმოცემული. ქალაქში მისული გმირი გაიგებს, რომ ქვეყანას კაციჭამია ურჩხული დაპატრონებია. ზიგფრიდი რაინგოლდის ამბავს რეგინისგან შეიტყობს. თუ ვინმე ისლანდიურ საგაში ასეთ ფრაზას წააწყდება – „ახლა ორ ამბავს მოგიყვებით“ – მაშინ ეს აღარ იქნება ხალხური ნარატივი და საქმე გვექნება ლიტერატურულ გადამუშავებასთან.

ხალხურ ნარატივს თხრობის ერთი მიმართულება აქვს, მან არ უწყის სახვითი ხელოვნების პერსპექტივა, მან იცის მხოლოდ უკანა ფონის აღმავალი სერია. მისი კომპოზიცია უფრო ქანდაკებას ან არქიტექტურულ ძეგლს ჰგავს; მკაცრი სუბორდინაციაა დაცული რიცხვებსა და სიმეტრიის სხვა ატრიბუტებთან.

თუ რამდენად მკაცრია ეს სქემატიზაცია, ფოლკლორის არმცოდნეც შეამჩნევს. ორი ადამიანი ორჯერ ხვდება მსგავს სიტუაციაში. ჭაბუკი ზედიზედ სამჯერ მიდის უკაცრიელ მინდორში, ყოველდღე ხვდება გოლიათს, ერთსა და იმავე საუბარს უბამს და ერთი და იმავე საბრძოლო ხერხით კლავს.

ცხოვრების ამგვარ მკაცრ სტილიზაციას თავისი ესთეტიკური ღირებულება აქვს. რაიმე შემთხვევითი გამორიცხულია და მხოლოდ მნიშვნელოვანი რჩება მყარად.

თქმულება პიკისკენ მიემართება ერთი ან რამდენიმე **მთავარი პლასტიკური სიტუაციით**. მოქმედი პირები ერ-

თმანეთისგან განუყრელნი არიან: გმირი და მისი ცხენი, გმირი და ურჩხული, თორი და დიდი გველი, მეფე და მისთვის თავდადებული რაინდები, ზიგმუნდი თავისი გარდაცვლილი ვაჟით.

ეს პლასტიკური სიტუაციები / *sculptured situations* / *tableaux scenes* უფრო მეტად ფანტაზიაა: გმირის მახვილს გველი დაგესლავს; გოგონა ხარის ან გველის ზურგზე დგას; დედოფალი გედსა და წეროს წველის.

ეს პლასტიკური/გაქვავებული სიტუაციები არა დროებითი, არამედ მუდმივია: სამსონი გამოსახულია ფილისტერთა სვეტებს შორის, თორი – სამყაროს გველთან ერთად, ვიდარი ფენრის მგელზე შურისმაძიებელია, პერსევსს მედუზის თავი უჭირავს. ეს მოქმედებები განსაკუთრებით ქანდაკების ხელოვნებაში ასრულებენ დიდ როლს და თავისებურად ჩვენს მეხსიერებაშიც ასე ჩაიბეჭდა.

თქმულებას აქვს თავისი **ლოგიკა**. მოტივები, რომლებიც წამოწეულია წინა პლანზე, გავლენას ახდენს მოქმედებაზე, თხრობის შინაარსსა და ამბის სიმძაფრეზეც. თქმულების ლოგიკა ყოველთვის არ ემთხვევა ცხოვრების ლოგიკას; თქმულებაში მთავარი კანონებია ანიმიზმისა და სიმპათიკური მაგიისაკენ მიდრეკილება. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ თქმულებაში ჭეშმარიტება დაფუძნებულია სიუჟეტის შინაგან ძალაზე, სინამდვილესთან

გარეგნული მსგავსება ნაკლებ გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია.

მოქმედების ერთიანობა თქმულებისთვის ნორმალურია. ეს ყველაზე უკეთ მაშინ ჩანს, თუ თქმულებასა და ლიტერატურულ გადამუშავებებს ერთმანეთს შევადარებთ. დამუშავების მთავარი ნიშანი არის მოქმედების მერყეობა. მოქმედების ერთიანობა სხვადასხვა თხრობით ჟანრში სხვადასხვა დონეზეა: ზღაპრებში, სიმღერებში, ეტიოლოგიურ თქმულებებში მოქმედების ერთიანობა მკაცრად არის განსაზღვრული, მითოსსა და საგმირო თქმულებაში – არც ისე მკაცრად და ამასთანავე მაინც ბუნდოვნად.

მოქმედების ერთიანობა ნამდვილი **ეპიკური ერთიანობაა**: ყოველი ნიშანი იმისთვის არის მოცემული, რომ წინ წამოსწიოს გარემოება, რომელიც მთხრობელმა დასაწყისში შენიშნა და ის მხედველობიდან აღარ დაკარგოს. თუ ბავშვს ჯერ კიდევ ჩასახვამდე შეჰპირდნენ ურჩხულს, მაშინ ყველაფერი იმის გარშემო იტრიალებს, რომ გმირი ამ ბოროტი ძალისაგან დაიხსნან.

სხვა მხრივ, არსებობს **მოქმედების იდეალური ერთიანობა**: სხვადასხვა ეპიკური ერთეული დაჯგუფებულია, რითაც პერსონაჟთა დამოკიდებულებას ნათელი ეფინება. ხელმწიფის შვილი, ურჩხულის ქალიშვილის დახმარებით, თავს დაიხსნის. ამის შემდეგ მეორე მოქმედება დაიწყება – მას დაავიწყდება ქალი და ხელახლა უნდა მოიპოვოს ის.

ხალხური გადმოცემის უზენაესი კანონია **მთავარ გმირზე კონცენტრაცია**. როცა თქმულებაში ასახულია ისტორიული მოვლენა, ის აუცილებლად ისე იქნება მოთხრობილი, როგორც მთავარი გმირის იდეურ სახეს დასჭირდება.

მთავარი გმირის თავგადასავალი ზოგჯერ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ეპიზოდებისგან შედგება. ზღაპრებში „ლონიერი ჰანსი“ (KHM 166) ან „ზღაპარი ერთი კაცი-სა, შიშის შესასწავლად რომ წავიდა“ (KHM 4) სიუჟეტის ნაწილებს მხოლოდ ფორმალური გადაბმები და პერსონაჟთა გარკვეული მოქმედებები აერთიანებს. ხშირად პერსონაჟი და მოქმედება ერთმანეთზეა დამოკიდებული: ჰამლეტი თავისი სიგიჟითა და შურისმაძიებლობით, მიუხედავად მერყევი ხასიათისა, სავსებით კონცენტრირებული ტიპია, მაგრამ, როცა მის ამბავს განცდები ემატება, ამით ხალხური თხრობის მყარი ჩარჩოები რომანის ფორმას უახლოვდება.

საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ ვითარდება სიუჟეტი ხალხურ გადმოცემაში, როცა თქმულებაში ორი გმირია. ერთი მათგანი მხოლოდ ფორმალურად არის მთავარი გმირი. თქმულება მისი ამბით იწყება და ის მიიჩნევა კიდევ მთავარ გმირად. „დავინწყებული საცოლის“ ზღაპარში მთავარი გმირია ხელმწიფის შვილი და არა ურჩხულის ქალიშვილი. ვოლსუნგას საგაში მთავარი გმირია ზიგფრიდი და არა ბრუნჰილდი. როცა სიუჟეტში ვაჟიც და ქალიც – ორივე მთავარი გმირია, ვაჟი ფორმალურად არის

მთავარი გმირი. თხრობისას ძირითადი ინტერესი მიმართულია ქალისკენ. ჩვენს თანაგრძნობას იწვევს დავიწყებული საცოლე და არა უფლისწული. ედას სიმღერების ყურადღების ცენტრში ბრუნჰილდი უფრო ხშირად ექცევა, ვიდრე ზიგფრიდი. ასლაუგი აფერმკრთალებს მისი ქმრის, ვიკინგების მეფის, სახეს – რაგნარს. ხალხური პოეზია, ფორმალური იძულების მიუხედავად, პოულობს გზას სიუჟეტის თავისუფალი და მხატვრული გაშლისთვის.

დასკვნა. ჩვენი ხალხური პოეზია გაჯერებულია ფორმულებით. ეს ფორმულები იმაზე მეტია, ვიდრე წარმოგვიდგენია. ხალხური სიტყვიერების ფორმულისებურ ნესებს შეიძლება ეპიკური კანონები ეუნოდოთ. მთავარი, რაც აქ დავწერე, არის: დასაწყისისა და დასასრულის კანონი, გამეორება, რიცხვი „სამი“, სცენური ორის პრინციპი, საპირისპიროს კანონი, ტყუპების კანონი, შემოსაზღვრულობა, სქემატიზაცია, პლასტიკა (გაქვავებული სცენა), თქმულების ლოგიკა, მოქმედების ერთიანობა (ეპიკური და აგრეთვე იდეალური ერთიანობა), კონცენტრაცია მთავარ გმირზე (ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, ფორმალური კონცენტრაცია).

სადამდე მოქმედებს ეს კანონები, შემდგომი კვლევა ემპირიულად გვაჩვენებს. მე ამჯერად შემოვიფარგლე „გოთური გერმანულით“ ანუ „არიულით“, ასევე – „მიტოსურით“ და „კულტით“.

ჩემს კოლეგებსაც არანაკლებ აინტერესებთ მსგავსი საკითხები. ისინი ამას რელიგიის ისტორიის კუთხით იკვლევენ: როცა მე ტყუპების კანონზე ვლაპარაკობ, ისინი დიოსკურების მითზე ფიქრობენ, როცა რიცხვი „სამი“ ჩნდება, ისინი საკულტო ტრიადას მოიაზრებენ. თუმცა რატომ ვეძებო ახსნა მხოლოდ რელიგიის წიაღში? ჩემი „ტყუპების კანონი“ ვრცელდება არა მარტო ღვთაებრივ დიოსკურებზე, არამედ ოდინის ვალკირიებზეც, რომლებიც არ არიან კულტის საგანი. „ტყუპების კანონი“ მთელ ეპიკურ ტრადიციაში შეინიშნება, როცა ორი პერსონაჟი ერთმანეთის გვერდით გვხვდება. ეს კანონი მუშაობს აგამემნონის შემთხვევაშიც და ჩვენს ხალხურ სიმღერებშიც. თხრობის ამ ტიპების განხილვა დაუსრულებლად შეიძლება, ამისთვის ერთი ცხოვრებაც არ გვეყოფა.

ასევეა რიცხვი „სამის“ შემთხვევაშიც. რიცხვს „სამი“ ხალხურ პოეზიაში ღვთაებრივი ძალა აქვს, მაგრამ არ არის საჭირო რელიგიური ფონის ძებნა, რადგან ბუნების მოვლენათა კლასიფიკაციაც ასეთია – ცხოველები, ფრინველები, თევზები; მიწა, ცა, ზღვა ანდა მიწა, ცა, ქვესკნელი, ყველაფერი სამად იყოფა და თუ რამე გარეგნული ხელს არ უშლის, მაშინ სამი ადამიანებისა და საგნების უმაღლესი რიცხვია. საკითხი ამგვარად უნდა დავსვათ: ხომ არ მომდინარეობს ეს რელიგიური და ეპიკური ტრადიციები უძველეს ხალხთა ფსიქოლოგიიდან?

აქ ახალი ამოცანებია ამოსახსნელი: ყოველ ეპიკურ კანონს თავისივე ჩარჩოებში უნდა დავაკვირდეთ და ამ კონსტრუქციული ფორმულების მნიშვნელობა უნდა გავარკვიოთ კაცობრიობის განვითარების ისტორიის კონტექსტში.

ამასთან, მხოლოდ ისტორიული სიღრმის კვლევა და დაფარული საიდუმლოებების ძიება საკმარისი არ არის. თანამედროვეობაში გამოყენებული ეპიკური კანონები, ცალკეულ ხალხთა თავისებურებები, პოეზიის ცალკეული სახეობები, კულტურული ცვლილებებიც უნდა განვსაზღვროთ ამ მყარად ჩამოყალიბებული პუნქტებით. დიახ, ცალკეულ გადმოცემებზე ჩატარებული ჩვენი სამუშაო მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული – და ჩვენს თეორიებზე უკეთ სწორედ ეს იმუშავებს – თუ მასალას ემპირიული დაკვირვებით შევისწავლით.

კოპენჰაგენი, 1908 წლის ივლისი

აქსელ ოლრიკის რჩეული ნაშრომები

Olrik, Axel. *Kilderne til Saksens oldhistorie: en literaturhistorisk undersøgelse*. Vol. 1 *Forsøg pa en tvedeling af kilderne til Saksens oldhistorie*. Copenhagen: Wroblewski, 1892.

Olrik, Axel. *Danske Folkeviser i Udvalg*. 2 vols. Copenhagen: Gyldendal, 1899, 1909.

Olrik, Axel. *Om Ragnarok*. Vol. 1. Copenhagen: Gad, 1902.

Olrik, Axel. *Ragnarokforestillingernes udspring*. Vol. 2. Copenhagen: Gad, 1914.

Olrik, Axel. *Danmarks helteedigtning: en oldtidsstudie*. Vol. 1: *Rolf Krake og den ældre Skjoldungrække*. Copenhagen: Gad, 1903.

Olrik, Axel. *Danmarks helteedigtning: en oldtidsstudie*. Vol. 2: *Starkad den Gamle og den yngre Skjoldungrække*. Copenhagen: Gad, 1910.

Olrik, Axel. *Nordisk Åndsliv i Vikingetid og tidlig Middelalder*. Copenhagen: Gyldendal, 1907.

Olrik, Axel. *A Book of Danish Ballads*. Tr. E. M. Smith-Dampier. 1939. Repr. Granger index reprint series. Freeport, New York: Books for Libraries, 1968.

Olrik, Axel. *Principles for Oral Narrative Research*. Translated by Kirsten Wolf and Jody Jensen. Folklore studies in translation. Bloomington: Indiana University, 1992.

Olrik, Axel. *The Heroic Legends of Denmark*. Translated from the Danish and revised in collaboration with the author by Lee M. Hollander. New York/London: Oxford University Press, 1919.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა.....	9
აქსელ ოლრიკი.....	9
„ხალხური სიტყვიერების ეპიკური კანონების“ პირველი პუბლიკაცია	13
აქსელ ოლრიკის თეორია თანამედროვე ფოლკლორისტიკის პერსპექტივიდან.....	15
ხალხური სიტყვიერების ეპიკური კანონები.....	21
აქსელ ოლრიკის რჩეული ნაშრომები.....	44

გამოცემაზე მუშაობდა

მარიკა ერქომაიშვილი

გარეკანის დიზაინერი

მარიამ ებრალიძე

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>



უნივერსიტეტის
გამოცემლობა